


572 / 2
1987

ISSN 0132-5065
1987-12-12



Снежинки

1987 12-12



ფოლადი

გურამ ფაფავიძე

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ფოლადს უძველესი დროიდან იცნობდა ქართველი კაცი. მრავალი ასეული წლის წინათ საქართველოში ადნობდნენ საუკეთესო ფოლადს და ხმლებს ამზადებდნენ. ამჟამად იმ ხმლების ნიმუშები მსოფლიოს მრავალ მუზეუმში ინახება.

დღეს კი ფოლადმა უფრო დიდი გამოყენება ჰპოვა.

ფოლადისაგან ამზადებენ ლიანდაგებს, მილებს, ტრაქტორებს, ელმავლებს, ვაგონებს, დაზგებს, ავტომობილებს, რაკეტულ დანადგარებს და ვინ იცის კიდევ რას.

განა თქვენ კი არ ხმარობთ ყოველდღიურად ფოლადის ხელსაწყოებს? კალამი, რომლითაც თქვენ წერთ, ფოლადისაგან მზადდება. დანა-ჩანგალი თქვენ რომ ჭამის დროს ხმარობთ, ისიც ფოლადისაგან არის გაკეთებული.

ყველამ როდი იცის, რა არის ფოლადი, მეტალურგია.

იქნებ გეუცხოვთ სიტყვა „მეტალურგია“? ამ სიტყვის შინაარსსაც გაგაცნობთ. ქვეყანაზე მრავალი მეტალი, ანუ ლითონი არსებობს: ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი. ამ ლითონებისაგან შენადნობის მიღებას მეტალურგია ეწოდება, ხოლო ქარხნებს, სადაც მათ ადნობენ, მეტალურგიული ქარხნები ჰქვია.

აქ კიდევ ერთი უცნობი სიტყვა შეგვხვდა — შენადნობი.

ლითონი სუფთა სახით იშვიათად გამოიყენება. მასთან ყოველთვისაა შედნობილი რაიმე ნივთიერება. ეს ლითონს გარკვეულ თვისებებს ანიჭებს.

ფოლადში მთავარი ადგილი უჭირავს რკინას. სუფთა რკინა სუსტია და თითქმის გამოუსადეგარი.

მიწის წიაღში უხვად მოიპოვება რკინის მადანი. რკინის მადანი რკინის უანგისა და სხვა მრავალი მინარევის შენაერთია. თავდაპირველად რკინის საბადოები-

189681

დან იღებენ მადანს. შემდეგ კი მიაქვთ მეტალურგიულ ქარხნებში. აქ მადანს, კოქსთან ერთად, ყრიან ბრძმედებში. კოქსი არის დამუშავებული და გამდიდრებული ქვანახშირი. ბრძმედში მალალ ტემპერატურაზე რკინა მავნე მინარევებისაგან თანდათან თავისუფლდება და თუჯი მიიღება. შემდეგ თუჯი მიაქვთ მარტენის ლუმელებში. აქ კვლავ გადაამუშავებენ და ფოლადად აქცევენ.

მარტენის ლუმელები უდიდესი ლუმელებია. რუსთავის თითოეულ მარტენის ლუმელში ერთ ჭერზე 125 ტონა ფოლადი დნება. არსებობს ხუთასტონიანი ლუმელებიც, ხოლო მარტენის სააქქროს სიგრძე ზოგჯერ კილომეტრზე მეტია.

ფოლადს ძალზე მალალ ტემპერატურაზე ადნობენ. მაგალითად: წყლის ასადულებლად საჭიროა ასი გრადუსი ტემპერატურა, ფოლადის გამოსადნობად კი ათას შვიდასი გრადუსი ტემპერატურა საჭირო.


ალბათ გაგიკვირდებათ — თუ ამ ტემპერატურაზე ფოლადიც კი დნება, მაშ რისგანაა აშენებული ლუმელი, რომელიც ასეთ დიდ სიმსურვალეს უძლებს? ბრძმედი და მარტენის ლუმელები აშენებულია ცეცხლგამძლე აგურებისაგან.

რაკი ბრძმედი და მარტენის ლუმელი ამუშავდება, შემდეგ მისი გაჩერება აღარ შეიძლება. ასეთი მალალი ტემპერატურის შემდეგ ლუმელს თუ გავაცივებთ, იგი დაიმსხვრევა, ამიტომ ლუმელები დღე დაღამე მუშაობენ.

მარტენის ლუმელში გამომდნარ ფოლადს შესაფერ ჭურჭელში ასხამენ. შემდეგ კი დაამუშავებენ და ამზადებენ ათასგვარ საჭირო საგნებს.

ამუამად საქართველოში რამდენიმე მეტალურგიული ქარხანაა. მათ შორის გამოირჩევა რუსთავის მძლავრი მეტალურგიული ქარხანა.

ჩვენი ქვეყნის მეტალურგია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მთელ მსოფლიოში.



ნეკოდენა

ტარიელ ჭანტურია

პირ სწილდა მას და დედს



პაპაიოს აპაპი

თენდება და ნეკოდენაც,
როდის-როდის რომ აღგება,
დედიკონას წინსაფარსე
აეკურება, როგორც ტკიპა.
ან გიჟურად როცა ცეკვაფს,
ან უირასე როცა დგება,
მართლა ისე პატარა,
გეგონება ნადდი ტკიპა.
დაგუნახათ ერთი იმ დღეს,
ცეროდენამ რომ გატეიპა!
გალახული — მაინც ისევ
მას ეკვროდა, როგორც ტკიპა!

— რას ამბობ, რას, ცეროდენა,
სომ არ გინდა გამაგიჟო:
როგორ! ლოცვის ჰამაჯი ჯობს?
ჩვეს საწოლებს ჰამაჯი ჯობს?
— რა თქმა უნდა, ნეკოდენა,
რა თქმა უნდა, ჰამაჯი ჯობს!
დაუჯერა ნეკოდენამ
და ჰამაჯი ჩაწვა,
მავრამ ბადე ისეთია —
იმ ბადეში გაძურა!
ძირს ზღართანნი შოადინა,
მუხლი გეკაწრა.
წამოხტა და ცეროდენას
მეუძანა მკაცრად:
— სომ არ უნდა გამაგიჟო!
ახლაც იტევი: ჰამაჯი ჯობს?
— ლიფსიტასთვის ეს ჰამაჯი,
ჩანს, ვერ არის სანდო!
აღგე უნდა, და ჩემსავით
დიდი ვაიზარდო!
მოიწეინა ნეკოდენამ.
კბილს არ უხსნიის საწეალს დანა!
არ შეშინდე, ნეკოდენა,
შენც გახდები ცეროდენა!



პაპაპი პიპილი

რეპაპი ნინიშვილი

წავიდა პაპა ტყეში, ადრე წავიდა, მზის ამო-
სვლამდე. ჩვენ რომ სასაუშროდ დავსხედით, და-
ბრუნდა კიდევ. კიბესთან დააყუდა ერთად შე-
კრული ოთხი ძალიან გრძელი ჭიგო. ესენი ხალ-
ხებიო, კაკლის საბერტყებიო. სად არ ვიბღოტე,
სად არ ვიძვრინე და მაინც ვიპოვეო. როგორ-
ბიაო?! ჩვენ ხომ გვიკვირდა, პატარებს, მე და ჩემ
ძმას, ჩვენი მამა და ბიძა უფრო გაოცებით აჰყუ-
რებდნენ ხალხების წვერებს. პაპამ ხალხები მი-
წაზე დააწინა. სამ ადგილას ჰქონდა მავთულე-
ბით შეკრული, სამ ადგილას კიდევ გადაახვია
მავთული, მზეზე აღარ დაიბრციებიაო. გაიტანა
სახლის უკან და კედლის ძირას მიდო, აქ მალე და-
ხმებთან, დამსუბუქდებიაო.

ორ კვირაში ხალხები, მართლაც, დახმნენ,
დამსუბუქდნენ. ამასობაში ჩვენი დიდი კაკალიც
დასაბერტყი გახდა, დაიშაშრა, დასკდა წინგო-
ები. ქარი რომ წამოღებრავდა, ბროლა-ბროლა
კაკლები ტოტებზე რაკარუკით ცვიოდა ძირს.

შაბათს პაპამ თქვა, — ხვალ კაკალი დავერ-
ტყუთო. დედამ იკითხა, — ვინ უნდა დაბერტყო-
სო? პაპა იჭდა, სადგისით და ნემსით ფეხსაცმელს
მიკერებდა. თითქოს ვერ გაიგონა, დედამ რა იკი-
თხა; ვერც პაპამ, ვერც ჩვენმა მამა-ბიძამ, — ისი-
რი ტელევიზორს უყურებდნენ. დედამ გაიმეორა,
— ვინ უნდა დაბერტყოს კაკალიო? მამამ და ბი-
ძამ ერთი შეხედეს ერთმანეთს და ისევ ტელე-
ვიზორს მიაჩერდნენ. პაპამ ჩაიღიმა, — მე და-
ბერტყავ, სხვა ვინაო?! ბებიამ ქვაბის ხეხვას
თავი ახეზა, — დაეტიე შენ ძირსა! აგერ კიკოლი-
კის ბიჭი, ისა ბერტყავს სანახევროდ. რაც კაკალი
ჩამოვა, ნახევარი თვითონ, ნახევარი პატრონს.
მივაშვავთ ნახევარი და დაბერტყოს იმანო. —
ხომ არ გავიჟდა ის კიკოლიკის ბიჭიო! — წამო-
იხანეს მამამ და ბიძამ. — მაშინ თქვენ დაბერ-
ტყეთ, შვილო, — თქვა ღმილით პაპამ. მამამ
და ბიძამ ისევ ერთმანეთს შეხედეს და გამწყრა-
ლნი შებრუნდნენ ტელევიზორისაკენ. პაპა ღონი-
ვრად დააწვა სადგისს. ბებიაშაც უფრო ღონივ-
რად განაგრძო ქვაბის ხეხვა. დედა ამბობდა, თით-
ქოს თავისთვის, — სულაც ნუ დაბერტყავთ, ჩა-
მოვიდეს ეგრე ძირს და წაიდ-წამოიღონ ღორე-
ბმა აქეთ-იქითაო.

გათენდა მზიანი დილა. მე სკოლაში არ უნდა



წავსულიყავი. დედა შემოვიდა, — სწრაფად
ადექით, კაკლსა ვბერტყავთო. — ვინა ბერ-
ტყავს? — ვიკითხე მე. ვინაო და პაპაო. სწრაფად
ჩავიცვით და კაკლისკენ გავიქეციეთ. მამაჩემი და
ბიძაჩემი რაღაც გადლაუდებელ საქმეზე წასული-
ყვნენ რაიონში. პაპა იჭდა ცისკენ ვეება ტოტემა-
გრაგნილი კაკლის ქვეშ და მამაჩემის კედებს
იცვამდა, — ესენი რეზინისაა, ტოტებს კარგად
მოებლაუტებიაო. ბებიას ვედრო და ჭობი ეჭირა,
— ტყუილადღა გგონია, ისევ ისა ხარ, რაც იყა-
ვიო!.. პაპას გაეცინა, — მაინც მიმიწო ვარ, ბე-
ბერი მიმიწო.



პაპამ მარტო კიბე მიიღვა კაკლის ძირზე. ავიდა, აიტანა ორი ხალხა, ერთი ძალიან გრძელი, მეორე ცოტა მოკლე. ნელ-ნელა, ბებრული მო-
ზომილობით მიიწვედა მალლა, მიჰქონდა ხალხე-
ბიც. დააუღებდა ტოტებს შორის, ავიღოდა მა-
ლლა და აიტანდა ხალხებსაც. ავიდა სულ მალლა.
— საღა მიძვრები, კაცო! — ნერვიულობდა
წარბებთან ხელმიღებული ბებია. — კოსმოსში!
— ჩამოიძახა პაპამ. — გაგიქრა ხსიათიო! —
უნუგეზოდ ჩამოუსვა ხელი ბებიამ. პაპამ კი მო-
იმაგრა კენწეროს ტოტებში ფეხები, მიჰყუდა
ზურგიც ერთ ტოტს, ასწია გრძელი ხალხა, ერთი

დაიძახა, — მშვიდობაში, ბედნიერებაში წლებ-
ვანდელი მოსავალიო! — და დასცხო ხალხა. წა-
მოვიდნენ სრალითა და ტოტებზე რაკარუკით
კაკლები. კიდევ დასცხო, კიდევ! სეტყვახებული
ხმაურით მოდიოდნენ ბროლა-ბროლა კაკლები,
ფარფატ-ფარფატით — ფოთლები.

ჩაიარა გზაზე მეზობელმა კაცმა, შეჩერდა
გაოცებული, — ჯრ ჩამოვარდე კაცო! — ნუ გე-
შინია, ნუო! — ანუგეშა პაპამ და უფრო და
უფრო გამეტებით დაუშინა ხალხა. ცოტა ჩა-
წუნარდებოდა, გრძელ ხალხას ტოტებში გახი-
დავდა, მოკლეს გამოიღებდა და იმ მოკლე ხალ-
ხით მახლობელ ტოტებს ბერტყავდა. კაკლის
ქვეშ კოჭებამდე დავეო წვრილ-წვრილი ტოტები
და ფოთლები. მე დავუძახე, — ტოტებს ნუ ამ-
ტვრევ, პა, ტოტებს ნუ ამტვრევ! — ეგრე უნდაო,
შვილოო, კაკალი რაც უფრო დაიბეგვება, უფრო
კარგად დაისხამსო! — და იხვე დასცხო და და-
სცხო ხალხა. ერთი ტოტიდან ჩამოცოცდებოდა,
მეორეზე ავიღოდა და ახლა იქ ასტენდა ხათქუნს.
ბებია და დედა მალლა-მალლა ყურებით ქეჟავ-
დნენ ფოთლებს.

მამაჩემი და ბიძაჩემი რომ რაიონიდან და-
ბრუნდნენ, პაპა უკვე ძირს იყო. მამაც გაწურა
და ბიძაც, — შენ შენი მაინც არ დაიშალე,
არაო?! — წყრომითვე მიკეტეს მანქანის კარები.
პაპამ კედლები დაიხადა და თავისი შავი ფეხსა-
ცმელები ჩაიცვა. ერთი ეს გასძახა შვილებს, —
მოდით, აკრიფეთ მაინცო! — შენაო! შენაო!.. —
თავებს იქნევდნენ მამა და ბიძა. მამამ მანქანას
კაპოტი ახადა, ბიძაჩემი შინ შევიდა. პაპამ კი,
გალიმებულმა, ზონარებიც შეიკრა და ისიც ჩაცუ-
ქდა, იმანაც დაიწყო ფოთლების ქეჟავა.

დედა და ბებია უკვე მზიარულად ახმაურე-
ბდნენ ვედროებს, მზიარულად ვკრფდით მე და
ჩემი პატარა ძმაც. ჩემი პატარა ძმა იპოვიდა
ერთ კაკალს და ჩაუღებდა დედას ვედროში,
იპოვიდა კიდევ ერთს და იმასაც სხიარულთი ჩა-
უღებდა ვედროში.

პაპა აქებდა, — აი, ყოჩალო, აი ყოჩაღ,
ბიჭოო!

ავიმართებოდი მეც წელში, ვუყურებდი პა-
პას და მედიმებოდა. ის მართლა მიმიწოს გავდა —
თხელი, მოკაუჭებული ცხვირით, წინწამოწეული
წარბებით, ახლა მიწაზე უხერხულად მშობლავ
მიმიწოს.

და მაინც — მინდოდა, რომ მეც პაპას დავ-
მსგავსებოდი... რა თქმა უნდა, როცა გავიზრდე-
ბოდი, როცა დავბერდებოდი.



ყვინჩილა და გაგის გალოპა

პროფ. ახვლედიანი

ერთხელ მათე საშინელმა აურზაურმა გამოაღვიძა. სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა და აივანზე გავიდა. დაინახა, მისი მურა ძაღლი დედაბერს უყევს. დედაბერი კი მურას წყველის. მურას წიწილა და გოჭი წამოეხმარნენ. დედაბერმა ისინიც დაწყველა. შემდეგ ჭუჭმაც და ხბომაც გამოიდევს თავი. დედაბერმა არც ისინი დაინდობოლოს მთელი ეზო აუუაყანდა დედაბერს. მაშინ დედაბერმა დაწყველა მთელი ეზო და ყველა, ვინც ეზოში იყო. მხოლოდ მათე გადარჩა, რადგან ის არ ჩამოსულიყო.

არავინ იცოდა, თუ რად აყევდა მურა,

რად გამოეკომაგნე მას ეზოს სხვა ბინადარნი და რად იწყველებოდა დედაბერი მხოლოდ ყვინჩილა არ იღებდა მონაწილეობას ამ დავაში. ის ეზოს კუთხეში დამდგარი გუბიდან წყალს სვამდა, ყოველ ულუპზე ცას ახედავდა და ღმერთს მადლობას სწირავდა.

წავიდა თუ არა დედაბერი, საზარელი რომ მოხდა: ყველამ და ყველაფერმა, რაც ეზოში იყო, გაქვავება იწყო.

მათეს თვალწინ გაქვავდნენ ხბო და კვიცი; გოჭი და ძაღლი; ჭუჭი, ციკანი და ბატანი; თეთრი ყვავილი და თეთრი პეპელა.

ყვინჩილა, რომელიც გუბიდან წყალს სვამდა, გაქვავდა ყელგაწვდილი.

გუბის წყალიც კი გაქვავდა. საზარელი რამ დემართა კოჭლ ანკარას. დედაბრის წყველამ მას მაშინ მიუსწრო, როდესაც ეზოდან ლბეში ძვრებოდა. ამიტომ ის ნახევრად გაქვავდა, უმწეოდ იგრიხებოდა და მაინც ვერ ძრავდა გაქვავებულ უკანა ნაწილს.

მხოლოდ თუთის ქვეშ მდგარი ქვის მაგიდა სულ დარბილდა და ჩამოდნა.

უჩვეულო სიჩუმე და უმოძრაობა გამეფდა მათეს ეზოში. მხოლოდ ლობის გადაღმა დარჩენილი წიწილა ეზოში შეძრომას ლამობდა და გულისგამაწვრილებლად წიოდა.

მათე აივანზე იდგა და თვალებს არ უჭერებდა. იმ დღეს ის სამჯერ უფროსი იყო თავის თავზე, მაგრამ ამგვარი რამ არათუ თვითონ არ ენახა, არამედ არც გაეგონა.

მათე ეზოში ჩავიდა და იქით გაემართა, საიდანაც წიწილას წივილი მოისმოდა. ძლივს ადგამდა ნაბიჯებს. იქნებ იმიტომ, რომ ის იმ დღეს სამჯერ უფროსი იყო თავის თავზე. ან იქნებ იმიტომ, რომ ეზოს ჰაერიც გაქვავებულიყო. უფრო კი იმიტომ, რომ ისიც გრძნობდა, რომ კიდურები მასაც უქვავდებოდა.

წიწილა გულისწამლებად წიოდა ღობის გადაღმა.

მათემ ძლივს მიაღწია ლობემდე, ძლივს გაყო ხელი ლობეში და წიწილაც მის გაქვავებულ ხელისგულზე დასკუბდა. ლობეში გაყოფილი ხელის მტევანი გაღვდა და მათეს ხელისგულმა იგრძნო წიწილას ნაცნობი სითბო.

მათემ მხოლოდ ისლა მოახერხა, რომ წიწილასათვის თითები ფრთხილად მოეხვია და ლობეში ხელი გამოეძვრინა.

გაქვავდა წიწილა ხელისგულზე და ხელიც გაუქვავდა მათეს.

გაქვავდა მათე ლობეს მიყრდნობილი და მხოლოდ მისი მზერა აწყდებოდა ეზოს გაქვავებულ ბინადართ. მზერაც გაუქვავდა მათეს და დაიმსხვრა მინასავით.

მოფრინავდა შაშვი შორი გზიდან და გალობდა.

როდესაც მან მათეს ეზოს გადაუფრინა, ისიც გაქვავდა ჰაერშივე.

გაქვავდა მისი გალობაც და უბრალო, ფერად კენჭებად ჩამოცვივდა მათეს ეზოში.

ერთ-ერთი კენჭი ყვინჩილას დაეცა და კისერი გადაუტეხა.

ნელა დარბილდა ქვა...

მათეს გულმა ფეთქვა დაიწყო. მერე ცრემლიც გადნა და მოლზე დაეცა. ამოძრავდა სისხლი მათეს ძარღვებში. ხელისგულმა კვლავ იგრძნო წიწილას ნაცნობი სითბო. მათემ თვალი მოავლო ეზოს და სიხარულით აღმოაჩინა, რომ ყველაფერი და ყველა გარშემო ცოცხლდებოდა.

მათე წამოადგა.

მისკენ მორბოდნენ ძაღლი და ბატკანი, გოჭი და ციკანი, ბოჩოლა და იხვის ჭუჭი, კვიცი და ჭრელი კნუტი...

მისკენ მოფარფატებდა თეთრი პეპელა.

კოჭლი ანკარაც ლობეში გაძვრა და თავის ლოდებში მოიკალათა.

ნაფრთიანმა ნიავმაც მხიარულად დაჰქროლა მათეს ეზოს. თურმე აქამდე ისიც გაქვავებული იყო.

მათე სიხარულისაგან ტიროდა და ეხ-



ვეოდა და ეფერებოდა თავის ძვირფას მეგობრებს.

მაგრამ მათეს გული მაინც დამძიმებული იყო. მის თვალს რაღაც აკლდა.

გრძნობდა მათე, რომ უმსხვერპლოდ შეუძღბებელი იყო გაცოცხლებულიყო მისი ეზო.

მან ყვითელი წიწილა, რომელიც აქამდე ხელში ჰყავდა, მოლზე დასვა და ეზო მოათვალიერა.

ეზოს კუთხეში დამდგარ გუბესთან რაღაც საბრალოდ ფართხალებდა. მათე იქით გაეშურა და როცა მივიდა, იცნო თავისი ყვინჩილა — ისიც გაცოცხლებულიყო, ოღონდ მკვდარად გაცოცხლებულიყო.

მათე მიხვდა, თუ ვინ იხსნა ეზო.

ფერადი კენჭები კი კვლავ შაშვის გალობად იქცა და ცად აიკრიფა.

შაშვმაც მძიმედ დააქნია ფრთები და ეზოს გადაუფრინა.

მას შემდეგ მათეს ეზოს ერთ კუთხეში დამდგარ გუბესთან გამუდმებით ფართხალებს საბრალო ყვინჩილა, რომელიც აგონებს ეზოს ბინადართ იმ საშინელ დროს, როდესაც ყველაფერი გარშემო გაქვავებული იყო, თუმცა თვითონ ყვინჩილას დედაბერთან დავაში მონაწილეობა არ მიუღია, ის მხოლოდ წყალსა სვამდა გუბიდან და ყოველ ყულუპზე ღმერთს მადლობას სწირავდა.

ჩოჩოჩი

პარკო კოპარიძე

ხშირად არა, მაგრამ მაინც იწერება, მწყურის ბარტყს ჩოჩოჩი ჰქვიაო. ლექსიკონებშიც ასეა: „ჩოჩოჩი — მწყურის მართვე“. ადრე მართლაც მწყურის ბარტყს ეძახდნენ ჩოჩოჩს, მაგრამ პირვანდელი ცნება თანდათან დაიკარგა, უფრო სწორად, გადასხვაფერდა — ჩოჩოჩის სახედრის, ვირის ნაშვიტის ვეძახბთ. ვირის ნაშვიტის მუტრუჟი რომ ერქვა, ეს კი ნელ-ნელა, თითქოს შემუხნველად დაგვავიწყდა. ახლა, მუტრუჟიკო გაუთღელე, ხუპრე, ბრივე ვინმეზე ვამბობთ. მოკლედ, რამდენიც უნდა ვწეროთ, ჩოჩოჩი მწყურის მართვეოა, ამ შინაარსით მაინც არ ვიმახსოვრებთ.

ერთი ხალხური, სახუმარო, საღაღოზო ლექსი მომისმენია, უფრო პატარა გოგო-ბიჭებმა იციან ხოლმე თქმა:


მისო ზაზას დაუბარე,
დაივარცხნე ქოჩორით,
ვირის საუიღღად ნუ წახვალ,
აქ გეწონდები ჩოჩორით.

ამ ლექსში სიტყვა ჩოჩოჩი მწყურის ბარტყს რომ არ გულისხმობს, რაღა თქმა უნდა, სულ ადვილი მისახვედრია.

გარეულ ფრინველს ისევე უყვარს თავისი შვილი — ბარტყი, როგორც შინაურ ფრინველს. ამ სიყვარულზეა ნათქვამი ანდაზა: „ყვავმა თავის ზაზალას უთხრა, ჩემო ბამბის ქულაო“. ესე იგი ყვავს ისე უყვარს თავისი ზაზალა, მოფერებით ეუბნება, ჩემო ბამბის ქულაო. სიყვარული რომ არა, როგორი თეთრი, რა ბამბის ქულაც არის ზაზალა, ეს ჩემგან აღარ გესწავლებათ.

- ასე — ყვავის შვილს ზაზალა ჰქვია;
- არწივისას, ორბისას — მართვე;
- ხოხბისას და კაკბისას — ლაპი;
- ქორისას, მიმინოსას — ქულა;
- მტრედისას, გვრიტისას, ქედნისას — ხუნდი;
- წეროსას — ბუტი;
- დანარჩენი წვრილი ფრინველისას — ბარტყი.

წვრილ ფრინველებს — ბელურას, წიწკანას, მერცხალს მშვეწიას ვეძახბთ. იმდენი ჩიტე მეგულემა, ყველას სახელი ასე ერთბაშად ვერ გამახსენდება; თანაც ზოგ ჩიტს ორი, სამი, ოთხი და მეტი სახელიც ჰქვია, საქართველოს კუთხეების მიხედვით. მაგრამ ამდენი სახელიდან ერთს



ამოირჩევენ ხოლმე მეცნიერები. სახელის შერჩევა კი ჩიტის ხასიათის, გარეგნობის ან გაღობა-ტიკტიკის მიხედვით ხდება. აი ასე დაკანონდება ხოლმე ფრინველის სახელი, ერთი, ყველაასთვის გასაგები სახელი. სხვათა შორის ზოგიერთ ხესაც ასევე ბევრი სახელი ჰქვია. თუმცა ამაზე სხვა დროს ვისაუბრებთ. თქვენ მარტო მომისმინეთ, თორემ სათქმელს რა გამომიღვეს!

ზაზალამ უთხრა მართვესო —
შენი სიმღერა მმართვესო.
სიმღერის მეტი რა ვიცი,
სხვა რაღა უნდა ვაკეთო;
გინდა ნამკალმი ვიმღერებ,
გინდა ვენახის აქეთო.
— ნეტავი როდის გასესხე,
თავი ამტკივდა ფიქრითო.
გინდა ვენახში იმღერე,
გინდა ნამკალის იქითო.



ՅՈՒՍԿ ԵՎ ԵՎԵՆՏ

ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԵՎ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՎՃՌՄԱՆ - ՅՈՒՍԿ ԵՎ ԵՎԵՆՏ

ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԵՎ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ
(2300 ԵՐԵՎԱՆԻ ԵՐԵՎԱՆ)

Մեր գրադարանը IV հարյուրամյակի ժամանակի մեծագույն գրադարանն էր, որտեղ կարելի էր գտնել բոլոր գրքերը, որոնք գրվել էին հայերենով, ինչպես նաև այլ լեզուներով։ Այժմ այդ գրքերը ցրված են ամբողջ աշխարհում։ Մեր գրադարանը կարող էր պահպանել այդ գրքերը, որոնք հայերենով գրված են։ Մեր գրադարանը կարող էր պահպանել այդ գրքերը, որոնք հայերենով գրված են։ Մեր գրադարանը կարող էր պահպանել այդ գրքերը, որոնք հայերենով գրված են։



Մեր գրադարանը կարող էր պահպանել այդ գրքերը, որոնք հայերենով գրված են։ Մեր գրադարանը կարող էր պահպանել այդ գրքերը, որոնք հայերենով գրված են։ Մեր գրադարանը կարող էր պահպանել այդ գրքերը, որոնք հայերենով գրված են։





ոհարո!



Բժարիմ, ճաղարձանի վրեժն առա՛նում:



Նայա՛ս խաղաղության:



Միտրոն ճանաչե՛ր ճաղարձան:

Մտնա՛ստիմ, այն ճանաչում եմ ճաղարձանի վրեժն առա՛նում:



Մտնա՛ստիմ, ո՞ր հա՛լա՛ն ճաղարձան:



Ճաղարձանի վրեժն առա՛նում, ո՞ր հա՛լա՛ն ճաղարձան:



Ի՞նչ ճաղարձան այն ճաղարձան:

Ճաղարձանի վրեժն առա՛նում, ճաղարձանի վրեժն առա՛նում, ճաղարձանի վրեժն առա՛նում:



Ճաղարձանի վրեժն առա՛նում, ճաղարձանի վրեժն առա՛նում:

Ճաղարձանի վրեժն առա՛նում:



როგორ გავხვალა წინაპლამ სახლი

წუნუ ქაღაბიძე

— ახლა ბინის გადაცვლაც შეგიძლია, თუ მოისურვებ. — უთხრა ერთ დღეს კაჭკაჭმა თავის მეგობარ წინწყალას. მათი მეგობრობა განსაკუთრებით მას შემდეგ განმტკიცდა, რაც წინწყალამ ქონდრისკაცებს შორის სიმარჯვით და მოხერხებით განთქმულმა, მშვენიერი კოხტა სახლი წამოვიძმა კაკლის ხის ტოტზე. მასალად კაკლის ნაჭუჭები გამოიყენა, თავლის ფიჭით შელესა და სუროს პრიალა ფოთლით გადახურა. დღეს არ გავაცდენდა კაჭკაჭი, რომ თავისი მეგობარი არ მოენახულებინა და ქვეყნის ახალი ამბები არ ჩაეკენჭა მისთვის.

— აღამიანებოც თუ ცვლიან ბინებს? — დაიტერესდა წინწყალა.

— ცვლიან რომელია. აქოთქოთდა კაჭკაჭი. — ესაა მათი ძირითადი საზრუნავი. ბინებს რომ არ ცვლიდნენ, საქმეც არაფერი ექნებოდათ.

წინწყალამაც მაშინვე დაიხურა თავისი წინწყლებიანი ქული — სწორედ ამ ქულის გამო ჰქონდა შერქმეული ასეთი სახელი — და ტყეს მიაშურა, რათა რომელიმე ბინა შეეთვალეირებინა. ბევრ ქონდრისკაცს ჰქონდა ბინა ტყეში. ზოგი ბუჩქებში ცხოვრობდა, ზოგი მარადმწვანე ხეზე მოკალათებულიყო გირჩებისაგან აგებულ კოხტა სახლში, ზოგსაც სოკოების მახლობლად აერჩია სამოსახლო. ყველაზე მეტად წინწყალას რკოს კაცუნას სახლი მოეწონა, მუხის ფართო ტოტზე წამოსუკულებულიყო, რკოსაგან მკვიდრად ნაგები.

— მოდი, სახლი გავცვალოთ, — მაშინვე საქმეუ გადავიდა წინწყალა.

— გავცვალოთ. — სიხარულით დაეთანხმა



რკოს კაცუნა. — მართლაც მოგწონებდა კაცს სულ ერთსა და იმავე სახლში ცხოვრება.

ორივე მონდომებით შეუდგა საქმეს. დიდი ყურადღებით დაათვალიერეს ერთმანეთის სახლები, გაზომეს ფართობი. იღბლად, ორივეს საცხოვრებელი ტილი აღმოჩნდა. ამოშავალი მუხის ხეებზეც კი მათ კარ-ფანჯრებს აშუქებდა პირველად. წინწყალამ და რკოს კაცუნამ, სულ ადვილად დაადგინეს, რომ მათი სახლების გაცვლას არაფერი დაუდგებოდა წინ.

მიიღეს ეს გადაწყვეტილება, დაიკაიწეს მკლავები და თავ-თავის სახლებს დაიდგაუწენ. წინწყალას თავისი სახლი მუხის ფართო ტოტზე უნდა დაესკულებინა, რკოს კაცუნას კი თავისი ბინა კაკლის ხის ტოტზე უნდა გადაეტანა.

ბევრს ეჭაჭურნენ, მაგრამ ხეზე დასკუბებული სახლები მკვიდროდ ჩაზრდილიყვნენ ტოტებში და ხის მერქანი ირგვლივ საძირკველივით შემოიკროდათ.

როდესაც საწადელი ვერ აისრულეს, გაერთიანებული ძალებით სცადეს ტოტიდან სახლის მოგლეჩა, მაგრამ ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა. ამდენ ჩაჭურში კინალამ მთლად გააფუჭეს საქმე: რკოს კაცუნას სახლის კედელი გაიბზარა, ხოლო წინწყალას სახლს სახურავი გადასცვრა.

წინწყალამ სასწრაფოდ მოძებნა ახალი ფოთლი, რკოს კაცუნამ თავლის ფიჭით შელესა გაბზარული კედელი. ასე საქმე არ გამოვიდოდა, რაიმე სხვა საშუალებებისთვის უნდა მიემართათ.

— ტოტი ხომ არ მოვტეხოთ? — შესთავაზა რკოს კაცუნამ.



წინწკალა არ დეთანხმა.

— ხე დამახინჯდება. — თქვა მან.

— მართალი ხარ, არ ივარგებს ტოტის მოტეხვა. — დეთანხმა რკოს კაცუნა.

ცოტა ხანს იფიქრეს და მერე წინწკალამ გამოთქვა აზრი.

— მე მგონი აჯობებს მთლიანად ამოვთხაროთ ხეები. მე კაკლის ხეს გადავიტან მუხის ხის ადგილას, შენი კი მუხის ხეს გადარგავ მის ნაცვლად.

ახლა რკოს კაცუნა წავილა წინააღმდეგი:

— ეს კიდევ უფრო მძიმე საქმეა. თან სახიფათოც. ჩემი მუხა აუცილებლად გახმება. ისე ვერ ამოვთხრი, რომ მიწაში ღრმად წასული ფესვები არ დაუზიანდეს.

ისევ დაფიქრდნენ. იფიქრეს, იფიქრეს და უცებ წინწკალამ შუბლში იტყვიცა ხელი.

— ერთი რაღაც მოვიფიქრე: მოდი, ერთმანეთი გავცვალოთ.

— ხე რანაირად? — გაიკვირვა რკოს კაცუნამ.

— რანაირად და, მე შენს სახლში ვიცხოვრებ, შენ კი ჩემს სახლში გადადი საცხოვრებლად.

რკოს კაცუნამ თავი იქვენულად გადააქინა.

— კი მაგრამ, ეს ხომ სულ სხვა რამეა: ისე გამოდის, თითქოს ჩვენ კი არ გადავცვალეთ სახლები, თვითონ სახლებმა ჩვენ გადაგვცვალეს.

— მართლაც ასე გამოდის. — კეფა მოიქეცა წინწკალამ.

ახლა რკოს კაცუნას მოუვიდა თავში ბრწყინვალე აზრი:

— ყველაფერს აჯობებს, ჯერ ორივემ ერთად ვიცხოვროთ მუხის ხის ტოტზე, ჩემს სახლში. ხოლო მერე, როცა იქ მოგვებურდება, კაკლის ხის ტოტზე გადავინაცვლოთ.

— ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ, — შევებით ამოისუნთქა წინწკალამ. ერთის ნაცვლად ორი სასლი გვექნება.

ასედაც მოიქცნენ. ერთხანს ორივე ერთად ცხოვრობდა მუხის ხის ტოტზე დასკუპებულ სახლში. მერე კაკლის ხეს მიუბრუნდნენ. ასე მიდი-მოდიოდნენ ერთმანეთთან. კაქკაქმა თქვა, ამას ბინის გაცვლა კი არა, სტუმრობა ჰქვიაო. წინწკალას სულაც არ სწყენია. პირიქით, უფრო გაიხარა, როგორც არ უნდა მოვიქცე, ყველაფერი აღამაინივით გამომდისო.

აბა სხადე!

ბურაბ ვადაჭკორია

წყლით სანახევროდ შევსებული ჭიქიდან კოვზით ვიღებთ წყალს და მასურებლის თვალწინ,



მინი




რამდენჯირმე, წვეთობით ვაბრუნებთ უკან, ჭიქაში.

შემდეგ ჭიქას და კოვზს ხელში ვიღებთ და როდესაც კოვზიდან კვლავ წყლის ჩახხმას ვიწყებთ, ჭიქას ხელს ვუშვებთ. ჭიქა ჰაერში დარჩება გამოკიდებული.

კოვზში წყლის დაცლისთანავე ჩვენ კვლავ ავიღებთ ჭიქას ხელში.

გივი ჩელაძე - 60



სამშობლოს სიყვარული კი მას მართლაც ლამაზად აქვს გამოთქმული!

დაბადებამდე რომ ვერ გუგუღვი — ამაზე მწუვდება ძალიან გული... სიკვდილის შემდეგ რომ ვუღარ გუნახე — ამაზე როგორ არ დასწუვდეს გული!...

პატარა და ლამაზ საქართველოს თქვენგან სიყვარული სჭირდება, დიდებისაგან — სიყვარულიც და თავგანწირვაც! ამასაც ისწავლთ პოეტისაგან:

ეპა, სამშობლოც, —
სიცოცხლე ჩემი და
სიღამაზე — შენა სარ
სრულიც;
მე შემძილა შენი
გულისთვის

დაუნახებლად დაუღიო სული!...

ერთსაც მიაქციეთ ყურადღება! — სამშობლოსათვის გაკეთებულ საქმეს, თუნდაც მთელი ცხოვრება შეალითით, ტრამბი ან უხდება. კარგად გაზრდილი ბავშვი ამას ისევე უხმაუროდ და დაუყვედრებლად გააკეთებს, როგორადაც გვასწავლის გივი ძნელაძე.

დიდი თუ არა, დაძრწება
პატარა-პატარა წიგნები...
შენ თუ არ გეძახსოვრები,
მე მიინც შენთან
ვიქნები!..

ახლა კი, ბავშვებო, თქვენთან ერთად მივულოცოთ სიყვარულ პოეტს ეს ღირსსახსოვარი თარიღი და აქვე ვთხოვთ, ჟურნალ «დღის» ფურცლებიდან კიდევ ბევრჯერ გავგახაროს თავისი მშენიერი ლექსებით!

ბავშვებო, ჩვენს სიყვარულ პოეტს, გივი ძნელაძეს სამოცი წელი შეუსრულდა!

როგორც გივი ძნელაძის ლექსებიდან ვიცით, მას ბავშვები და საქართველო, ყველაფერს ურჩევნია.

თქვენ, პატარებს, სიყვარული პოეტისაგან ათასი რამის სწავლა შეგიძლიათ, მაგრამ, დასაწყისისთვის, აუცილებელია, მისგან სამშობლოს სიყვარული ისწავლოთ.



ნიავი და ია

რა სათუთი ხელები აქვს
გაზაფხულის ნიავს,
დუდასავეთ ეუვრება
პაწაწინა იას,
თავზე საბნად ხის ფოთოლი
წაუფარება,
ტბილზე ტბილი ნინინათი
ჩაუძინებია...

მეუზარა ქორი

ქორმა ჩამოუქროლა
წიწილები საბუდარს...
ჩემს სძალს თვალი რომ მოჭკრა —
შეძინდა და... გაბრუნდა!..

ნატყრა

ნეტა ერთი ჩემს ბოჩოლებს
სამწუქმსურში გამაეოლა,
მაბურთავა,
მაჭიდავა,
ლურჯი ცხენით გამაქროლა,
დაღლილი და დაქანცული
მწვანე მოლზე გამაგორა,
სამწუქმსურში რასაც ვნახავ
სიმაღშიაც ჩამეოლა,
დილით ადრე, უთენია,
სკოლის ზარი გამაგონა!..



დედა

დედა,
დედიკო,
დედილო,
დედუბა,
დედი,
დედაო, —
ამ ქვეყნად უველა სიკეთეს
მე შენს თვალებში ვხედავო!..
ვინც დედას არ დაუჯერა,
უველას მსე დაუნებდაო...
სულ შეავდე ასე ლამაზად,
სულ შეავდე ასე მსნედაო!..
უპირველესად შენ გაქვთ,
შენ მიგუანჩინხართ მსედაო,
შენს სახელს ვენაცვალეო, —
დედა,
დედილო,
დედაო!..

ნანი

ნანა, ჩემო ციუქუნია,
ჩემო თვალის ჩინო,
საბანი არ გადაიძრო,
არ გაცვიდე, შეილო.
სულ შენია, შემოგველო,
რაც თაროზე რეოა,
ნანა, დედა გენაცვალოს,
დაიძინე, დროა...
ახლოს ვერჯინ ვერ მობედავს
მამაშენის შიშით,
დაიძინე, ნაწაწინავ,
გაიზრდები ძილაში!..



დღე ილეოდა. ზღვის ტალღები ჯიქურ მი-
იწვედნენ ნაპირებისაკენ, ასკდებოდნენ ქვიშიან
სანაპიროს, მერე ცხრებოდნენ, უკან იხვედნენ
და ისევ ახალი ძალით ეკვეთებოდნენ.

შფოთავდა ზღვა, ხმაურობდა, თითქოს ვი-
დაცას ემუქრებოდა გაცოფებული მოაგორებდა
აქაფებულ ტალღებს...

ზღვის პირზე გამორიყლებივით იდგნენ
მოხუცი და ბიჭუნა — ბაბუა და შვილიშვილი,
მოხუცს მეზღვაურის ძველი მაისური ეცვა, იდ-
გა იგი ხმელი წიფელივით, ტალღები ფეხებს
უსველებდნენ, შხუილით ევლებოდნენ გაცეკ-
ვით ფეხსაცმელებზე, მაგრამ მოხუცი ამას ყუ-
რადღებას არ აქცევდა.

როცა ტალღა უკუიქცეოდა, შვილიშვილი
ბაბუასთან მიირბენდა და იმწამსვე უკან იხვედა,
შიშველ ტერფებს არიდებდა წყალს. უკვირდა
პატარას, რატომ იყო ასე გააფებული სტიქიონი.

— ბაბუ, რა აბრაზებს ზღვას? — ჰკითხა
გულუბრყვილოდ.

მოხუცს მხოლოდ გაეცინა, პასუხი არ გა-
სცა.

— ბაბუ, რატომ უყურებ ამდენ ხანს, რაიმე
დაკარგე ზღვაში?

მოხუცმა ერთხელაც მოავლო თვალი არე-
მარეს, მერე შვილიშვილს თავზე ხელი გადაუ-
სვა.

— დაკარგე... მართლაც დაკარგე... — სი-
ნანულით უთხრა, — ზღვაში დავტოვე ჩემი სი-
ჭაბუკე, მას შევალე სიცოცხლის უდიდესი
ნაწილი, ასე მგონია ფეხიც კი წყალზე ავი-
დგი, მე მეზღვაური ვიყავი ორმოცი წელი, ეს
ხომ თითქმის მთელი სიცოცხლეა, ამიტომაც
ხშირად მოვდივარ აქ, ვდგავარ გარინდებული
და ყურს ვუვდებ ზღვის საუბარს... ხან მშვიდს,
ხანაც მშფოთვარეს და დაუცხრომელს.

დაღუპული გემის კაპიტნებივით იდგნენ ბა-
ბუა და შვილიშვილი და ზღვას ისე მისჩრებო-
დნენ, თითქოს სასწაულს ელოდნენ.

ზღვა კი უკვე დამცხრალიყო, აღარ იმუქრე-
ბოდა, მზე სანახევროდ ჩაძირულიყო წყალში,
მოხუცი ჰორიზონტს გასცქეროდა, ბიჭუნა კი
— ხან მოხუცს და ხანაც წელამდე ზღვაში ჩან-
თქმულ მზეს, რომელიც ნელ-ნელა იძირებოდა
უძირო სტიქიაში. ბიჭს ენანებოდა დასახრწო-
ბად განწირული მნათობი, ოცნებობდა მომხდა-
რიყო სასწაული და ისევ ამოსულიყო მზე ზღვი-

დან — თუნდაც დასველებული და გაღუპული.
გავარვარებული მზე მოლიანად ჩაეშვა
ზღვაში...

— ჩავიდა. მწუხარედ თქვა მოხუცმა მეზღვა-
ურმა.

— ისევ ამოვა. — გაამხნევა ბიჭუნამ.



ბანანა

ბანანა ზაზიყაშვილი

— სამი წლისა დღეს გახდით, —
მეუბნება ბებია,
განა თვითონ არ ვიცოდით,
არც კი განკვირვებია.
სამი თითი მომიკეცა,
მუბლზე სამჯერ მაკოცა,
— გამეზარდე ჯანმრთელიო —
სიყვარულით დამლოცა.



პარი ლაპიოსიანი

5 9 4 6 1



შვილობილი

გაზაფხულდა. ტყე შეიფოთლა, აბი-ბინდა მინდვრები, აჭიკიკინდენ ფრინვე-ლები. აფუსფუსდა ტყის ქათამი ნაცა-რა — საბუღარის გამწალებას შეუდგა.

იმ ღამეს ქარიშხალი ამოვარდა, ხეებს ტოტები დააღეწა. დილით, ნაცარამ სა-ბუღარის გვერდით მაღალი წიფლის ძერ-ში კვერცხი ნახა, ბუღესთან მიაგორა, სა-კუთარ კვერცხებს გვერდით მიუღო.

გავიდა დღეები და ერთი კვერცხიდან კაკუნე გაისმა. ნაცარამ ნისკარტი ფრთხი-ლად ჩაჰკრა და კვერცხიდან პირველმა წიწილამ ამოჰყო თავი. ახლა მეორე კვერცხს ჩაუტაკუნა ნისკარტი, შემდეგ მე-სამეს; წიწილები რიგრიგობით იჩიკებო-დნენ, ნაპოვნი კვერცხი კი უძრავად იღო და დუმდა.

ღრომ თავისი გაიტანა, ისიც შეტორ-ტმინდა და ნაცარას დახმარებით ამ ქვე-ყანას შვილობილი მოევილინა. ნაბოლარა ძალიან განსხვავდებოდა სხვა ბარტყევი-საგანს.

ღედა მზრუნველობას არ აკლებდა შვილებსა და „შვილობილს“. დაფრინავ-და ტყეში და საკვები მოჰქონდა. წიწი-ლებიც იზრდებოდნენ. შვილობილი კი სხვა ბარტყეებზე სწრაფად იყრიდა ტანს.

ახე სათუთად ზრდიდა ნაცარა მონა-გარს.

ერთხელ წამოზრდილ შვილებს ნაცა-რა საკვების ძებნას ასწავლიდა, ფრენას აჩვევდა. როდესაც ჭერი შვილობილზე მიდგა, ნაცარა შეკრთა, — მის წინ გაფოფ-რილი მთის არწივი იდგა.

შეშინებულმა ღედამ პირმშობე-ბი ფრთების ქვეშ დამალა. არწივმა კი ფრთე-ბი გაშალა და მოკაუჭებული ნისკარტით მიუაღერსა, მერე აღერსიანად გადახედა ყველას და ხეზე აფრინდა.

შემოდგომის დამდეგს ნაცარა და მისი მონაგარი მდელოზე გამოფენილიყვნენ, შვილობილი კი იქვე, პატარა კლდის თავ-ზე ამაყად იჯდა.

უეცრად გავებულები ძაღლის ყეფამ ყველას თავზარი დასცა... ის იყო, გეშ-ალებული ძაღლი ნაცარას უნდა წასწვდო-მოდა დასაქერად, რომ მისმა წკმუტუნ-კი-ვილმა არემარე შესძრა.

გავებულ არწივს კლანჭებში მოექცია მეძებარი ძაღლი და მძლავრი ნისკარტით სასიკვდილოდ კორტინდა.

ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ორთაბრძოლა, უეცრად თოფი რომ არ გავარდნილიყო.

დაჭირლმა არწივმა ერთხელაც შემო-ჰკრა მძლავრი ფრთები და გაჭირვებით აფრინდა ზეცაში.

გაოცებული მონადირე კი დიდხანს იდგა ერთ ადგილას და ვერ აეხსნა, რატომ გადაარჩინა ფრინველთა მეფემ ტყის ქა-თამი?





სანუქარი

პილის ბილანიშვილი

მაშინ თურმე კახეთიდან თბილისში მიმავალი გზა პატარძეულის მინდერებზე გადადიოდა.

მკათათვე იყო. შეუბრალებლად აჭერდა ივლისის თაკარა შუე. ბოტორო ასდიოდა გავარვარებულ გზა-შარასა და შემოსულ ოქროსფერ ყანას.

შუადღე იდგა. ნიავე სადღაცას გადაკარგულიყო, ჭრიჭინებიც კი განაბულიყვნენ. მომკვლევს ნამკვლები დაედოთ და სიცხის აღმურს სახელდახელოდ გაკეთებული ქოხების ქვეშ და-

მალვოდნენ. მინდორში სუღდგმული არ ჩანდა. მარტო გვიტია პაპა დასდგომოდა გზისპირა სვეს, ზურგზე ბალახი დაედო, ქამარი მჭიდროდ შემოერტყა წლებით დამძიმებულ წელზე, თექის ქულშიც ბალახი ჩაეფინა და ისე ჩამოერქო დათოვლილ თავზე. შუე უწყალოდ აჭერდა, გვიტია პაპა კი ხელეურს ხელეურზე აწყობდა და დაბლური ღიღინით მიჰყვებოდა სვეს. ემურებოდა მოსავლის დაბინავებას.

ყანის შრიალსა და ნამკვლის წკრიალში ცხენის ფეხის ხმა და ორთვალას თვლების ხმა შემოესმა პაპას. წელში აიძართა და გზას გახედა. მგზავრმა ჩორითთ მავალი ცხენი შეაჩერა. აღვირი გვერდით მჯდომ მანდილოსანს მიუვლო, შარაბანდიდან გადმოვიდა და გლეხს შეეხმინა:

— გამარჯობა, გამრჯე კაცო, ბარაქა შენს მოსავლას!

გვიტია ქუდი მოიხადა, გაოფლილ თავკისურზე ნაცრისფერი წინსაფარი ჩამოისვა და საღამოს პასუხი დაურუნა მისულს.

— კნეინა სიცხემ შემოწოხა. წყარო არსად ჩანს... — ვიდრე სათქმელს დაამთავრებდა, გვიტია პაპამ პატარა ბულულის ქვემოდან სველი კოკურა გამოიღო, პირში ჩატენილი სიმინდის ქეჩენი ამოაცალა და მგზავრს მიაწოდა. მოსაუბრე შარაბანდისაკენ გატრიალდა, კნეინას სასმისი გაუვსო ცივი წყლით, თავად კი კოკა მოიყუდა.

— რას შერები, კაცო, ერთმანეთს დაცადეთ. ერთად წყლის დაღვვა როგორ შეიძლება, ერთად დაიხოცებით.

— მაგას რა სჯობია, თუკი ერთად წავალთ, იქაც ერთად ვიქნებით. — გადიმა დარწყულე-ბულმა. — გემრიელი წყალია. სადაური ხარ, საიდან მოგაქვს წყალი?

— პატარძეულები გახლავარ. წყალი კი ჭინჭრინისაა, აი იმ ასკილის ხეეს გადახვალ და იქვეა.

— რა ძალა გაქვს, ამ პაპანაქებაში რომ მკი?

— აქ პირველ დღესაა დათესილი, თუ მალე არ მოიშობ, ჩაიმარცვლება, მოსავალი გაუბარა-ქოვდება.

— შენ გენაცვალე, ბერიკაცო! — თქვა აღტაცებით მგზავრმა, მკლავები გაშალა, მკერდზე მიიხუტა მოხუცი, ოფლიან ლოყაზე ეამბორა და დამშვიდობებისას ხელში ოქროს თუნიაანი ჩაურღო. — ეს შენ, თავადღებული შრომისათვის, პატიოსანო კაცო!

გვიტოპა პაპამ გაცეცხული თვალები შეანათა მისულს და მორიდებით შეჰკადრა:

— ბატონი იქნები!

— ბატონი კი არა, ჩემი ერის მონა ვარ და შენისთანა შშრომელი კაცის თავყვანისმცემელი.

— ვინა?


— ილია ვარ, ჭავჭავაძე, დიდხანს იცოცხლე, ბერიაცო, ჯანმრთელად გაატარე შენი კუთვნილი წუთისოფელი! — შესძახა, ორთვალაში ავიდა და თბილისისაკენ გასწია.

გაცეცხულმა პაპამ ხელში შეატრიალა ოქროს თუმნიანი, მერე ქამარზე დაკიდებულ ცარიელ ქისაში ფრთხილად ჩაღო და ნამგაღს დასწვდა.

...ღრმამოხუცებამდე იცოცხლა გვიტოპა პაპამ, ბვერჯერ გასჭირვებია და მაინც არ დაუხარჯავს ოქროს თუმნიანი, ახალგაზრდებს აჩვენებდა თურმე და ამაყად ამბობდა: — ეს დიდი ილიას ნაწუქარია, შუადღის პაპანაქებაში ზურგზებალახადებული ყანას რომ ვეკიდო, მაშინ მომცაო.

როინს ახსნა

20-25 სმ სიგრძის წვრილ ძუას გამჭვირვალე ლეიკოპლასტიკით ორთავე ბოლოდან მივაწებებთ ჭიქას შიგნითა მხარეს და შუაწელით გადავიდებთ კოვზზე. (დააცქერდით ნახატს). კოვზიდან წყლის გადასმის დროს ჩვენ შეგვეძლება ხელი ვუსვათ ჭიქას და იგი ძუსი შემწეობით ჰაერში დარჩება ჩამოკიდებულთ.



ჭიქა

სამარტოველს ალკპ ცპ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელმწიფოს პიონერთა ორგანიზაციის რსკპუბლიკური საბჭოს შურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან
საქ. კ. ცპ-ის გამოცემლობა.

მოავარი რედაქტორი
ნეპერ ნიჰარაძე

სარედაქციო კოლეგია: მუსარდ აბოქაძე, მანანა ანთაძე, ლაგარა ბაგვა, მერი ლავითაშვილი, სერდორი მუხრანაშვილი, ლიპილა შიპაძე, გვამა ლოსაბერიძე, გავალა გვამაშვილი, ჯურხა ნალირიანი, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თინათო ჩალაშვილი (პ/მე, მდივანი), გივი ჭიჭინაძე, გივი ძნელაძე, მარინა ხარატიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ნელი წიკოტიანი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: ში. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მე, მდივნის 93-10-32, 93-98-18; საშხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გაღებვა სასწრაფოდ 14.10.87 წ., ხელმოწერილის დასაბუღად 25.11.87 წ., ქალღედლის ზომა 60×90/8, ფიხ. ნაბ. ფურც. 2,5 ტირაჟი 168.000, შეკვეთა №2504

ელახ ნახატი
ნანა ჭურულუბასი

«Дида» («Vtro») еженесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ №2504



კობკობკობ



მშობლებს,
 მასწავლებლებს,
 ზიონერსელმძღვანელებს,
 საბავშვო ბაღის აღმსრდელებს,
 უპირველესად კი თქვენ,
 ჩვენო ზატარა მკითხველებო!

ვისაც „დილა“ უყვარს, ვისაც უნდა უფრო საინტერესო, მიმსიდეველი, შინაარსიანი და ლამაზი გაფორმებული იხილოს ჩვენი ქურნალი, გთხოვთ, ნუ დაიზარებთ კიდევ ერთხელ გადაავლათ თვალი „დილის“ შარშანდელ ნომრებს და მოგვეწეროთ ზახუსი ამ შეკითხვებზე:

1. რამდენი წლის არის მკითხველი, რომელსაც „დილა“ აქვს გამოწერილი?
2. ჩამოთვალეთ თქვენი აზრით 1987 წელს დაბეჭდილი ევკლასე საინტერესო მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები, ნარკვევები და სხვა.
3. მოგწონთ თუ არა „დილის“ გაფორმება, რომელი მხატვრის ნახატები უფრო გიზიდავთ?
4. „დილაში“ მრავალი მუდმივი განყოფილებაა: „ჩვენი ნამვის ხე“, „მუქურვარსკვლავი“, „ცისარტყელა“ „სიტყვის კონა“, „ბუნების კარი“, „რა ხელმა აავო“, „საუბარი კიბერნეტიკასზე“, „ეთნოგრაფიული კუთხე“, „დაუვიწვარი“, „კერკეტი კაკლები“, „ხითხითელა“, „ჩხირკედელა“, „დილის საგამოფენო დარბაზი“, „აბა სცადე“ და „არჩევანი — არადანი“. რომელი უფრო მოგწონთ? რაიმე ახალ რუბრიკას ხომ არ გვიკარნახებთ?

5. თვის რომელ რიცხვებში ღებულობთ „დილას“?

წერილები გამოგზავნეთ მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. №14, „დილის“ რედაქცია.

თქვენი ზახუსები დიდად შეუწეობს ხელს რედაქციას მუშაობაში.
 წინასწარ გიხდით მადლობას.

5-0077

